ედემის ბაღში ხალხისა და პოეტის შეხვედრა იომა და დაწყვიტა და ხარჯის გასაწევად საკმარისი იქნებოდა სულზე თითო მანეთის გადახდა. შეხვედრას დასწრებია ას კაცამდე და ყველას ხალხისთ გულია ერთი მანეთი, რაც თურმე ფორტებისთვის დასაფინანსებლად კმაროდა, სურნის გადასახდელად იომა ხერხისთვის მიუმართავს და სინი ჩამოუტარებია და პირველს ხუთი მანეთი დაუგდება, მის მიერ გაფრთხილებულმა ნოე გომამძემაც ხუთი მანეთი დადო, ამ ხერხმა გაამართლა და სინზე ხუთმანეთიანების ხვაკი დადგა, როცა ჯერი მიმდგარა შეძლებულ უშვილო ჯაფარიძემ, მას უარი განუცხადებია იმ მოტივით, რომ ერთი მანეთი სურათსაც ყყოფა და ქეიფსაც, აქ ლაპარაკი ფულზე არაა, მიმანჩნია, რომ მომატყუეთო, ჯაფარიძე აკაკის ახლოს მჭდარა და ეს ყველაფერი გაიგონა და გვერიც იცინა როგორც იომა სინზე, ისე ჯაფარიძის გაჯიუტებაზე.

მიგვანჩნია, რომ იომა ისაკაძის ცხოვრება და მოღვაწეობა მოითხოვს სათანადო დაფასებას, რადგანაც მისი ქმედება „ზრალი პურის მცხოვრების“ კი არა, უბაღლო მამულიშვილის თიუენს მოელის. და რა საოცარ გულისტკივილს მიყენებდა მისი დაღუპვა მგოსანს, კარგად ჩანს აკაკის მიერ 1913 წელს იომა

ისაკაძის დაკრძალვაზე გაგზავნილი სამძიმრიდან – რომ გამოჯანმრთელებისთანავე ავიდოდა სოფელ მუხლში და იომა საფლავს ეპიტაფიით დაშველებულ ლოდს „დაადგება“, მაგრამ დიდმა პოეტმა ეს დაპირება ვერ შეასრულა შეუძლოდ ყოფნის გამო, ეპიტაფია კი უსახსლოვანა და ამ ეპიტაფიით დაშველებული საფლავის ქვა 2003 წლის 25 მაისს იომა საფლავზე აიტანეს სახხერელმა პურის მცხოვრებმა და იომა გულმემატკივრებმა – რევან გურულმა, შალვა ჭიხორიამ, გელა მჭედლიშვილმა, ოლეგ ცაბაძემ, მერამ ჭილაძემ, ტრისტან საღვებელაშვილმა, მიხეილ ქაშუშაძემ, კახაბერ ლაშხმა, რითაც აღასრულეს მგოსანის დანაპირები. და რა სამწუხაროა, რომ სახხერ-რაჭის საავტომობილო გზის მშენებლებს არ გაახსენდათ, რომ სოფელ მუხლში „ვაკის“ სასაფლაოზე განისვენებს ფრიალ ღირსეული მამულიშვილი იომა ისაკაძე და არ დადგეს საგზაო ნიშანი იომას სასაფლაოს ადგილმდებარეობის მიხიშვებით.

ბრახისა და ლაყბობის შესახებ

1895 წელს, 15 თებერვლის, №44 კვალში გამოქვეყნებული „ვაკი ფიქრები“, რომელიც გიორგი ისაკაძის პირიწერისაა ეხება, აკაკი აღნიშნავს: „აღმოსავლეთიდან ერთი სენი შემოეპარა საქართველოს და ის თუ დააქვეცვს ჩვენს ქვეყანას, თვარა სხვა ვერაფერი – ეს არის ყიბილაშური მედიდურობა, რომელსაც განუწყვეტლათ თან ახლავს სამი ვეზირი: შური, ჯიბრი და ბრახი“.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით – შური, მწუხარება სხვისა ვეთილსა ზედა (საბა), შურით ავესო გული. ჯიბრი – (არაბული) სურვილი ვინმესთვის რამეში ჯობნისა.

ბრახი – ძლიერი გაჯავრება, ძალზე გულის მოსვლა. ამჯერად შურისა და ჯიბრის შესახებ არ მოგახსენებთ, მინდა ბრახის (გაბრაზებულთა) შესახებ ეს ჩემი შეხედულება გავაცნოთ და არავითარ შემთხვევაში იმათ მიმართ არც შური, არც ჯიბრი და არც გაბრაზება არ მოაპარაკებებს.

თუ არა ბრახის გამოვლინება მავანის მიმართ, რით უნდა აფხნათ 2024 წლის 15-21 იანვრის, №4, (1522) „საავალ-დასავალში“ გამოქვეყნებული სტატია, სადაც მისი ავტორი, ბატონი იგორ კვესელავა დადასტურებულად აცხადებს: „1978 წლის 14 აპრილს ქართული ენის დასაყვად არავითარი ქართველი ერი არ გამოვიდა, ეს ყველაფერი შევარდნაძისა და სამჭოთა „კავებს“ მიერ დადგმული სპექტაკლი იყო, როცა უნივერსიტეტიდან დიდი ოდენობით ხალხი რუსთაველის პროსპექტისაკენ დაიძრა და მთავრობის მიტინგზე შევარდნაძემ გააცხადა, რომ ლეონიდ ბრეჟნევმა, თურმე, ქართველი ხალხის გასაჭირი გულთან მიიტანა და კონსტიტუციაში ქართულ ენას სახელმწიფო სტატუსი შეუნარჩუნა. თურმე ეს ყველაფერი იმიტომ მოიმოქმედა, რომ ხალხის ნდობა მოუპოვებინა. მგონი ეს ყველაფერი ბრახის ბრალია?! მაგრამ რას ეუბნები აქ განხვეწებულ მუხრან მაჭავარიანს, რომელიც ამ დღის ერთ-ერთი შემოქმედი იყო! შეიძლება ხალხის ეს უდიდესი მონაპოვარი შევარდნაძის ზიზღის გამო, მის დამსახურებად და „კავებს“ შემოქმედებად ჩათვალო?!

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი გვამცნობს, რომ ლაყბობა – მეგრს და უსაგნოდ ლაპარაკს, ყბდობას ნიშნავს. ლაყბობისათვის წარსულში კანონის ძალით შორეული აღმოსავლეთი გარანტირებული ჰქონდა მოლაყბეს, თუმცა დღევანდელი ჩვენი კანონი ამ მუხლს არ ფლობს, ის კი არა, სამომლოლს დალატიც კი ამოიღეს კანონიდან, რომ აღარაფერი ვთქვათ ცილისწამებაზე.



მოლაყბის, ცილისწამების, სამომლოლს მოლაყბის დასაცვლად სასწრაფოდ და მისადემი კანონი, თუ არადა სახელმწიფოს ძლიერებას საშველი არ დაადგება.

ცეზარ ლაშვი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი



დიდი ჩინეთი უნგრეთს „ტროას ცხენით“ იყენებს?!

ტნიორი, და ნატომ უნდა აძლევდეს ხელს ჩინეთს უნგრეთთან ურთიერთობის გაღრმავებაში.

ჩინეთი, კარგა ხანია, უნგრეთის ეკონომიკური პარტნიორია, რომელიც, 2020 წლიდან შთამბეჭდავ ინვესტიციებს ახორციელებს. უნგრეთში მუშაობს ჩინური კომპანია შუაგვის ყველაზე დიდი საწარმო და გამაყვანებელი ბაზა. მალე, ჩინეთი უნგრეთში ელექტრომანქანებისა და ავტომობილების ქარხნებს გახსნის. ასევე ჩინეთი, უნგრეთის მთავრობის დაკვეთით, რკინიგზის ჩქაროსნულ მაგისტრალს ააშენებს, რომელიც ბუდაპეშტს სერბეთის დედაქალაქ ბელგრადთან დააკავშირებს. მოკლედ, ევროპის კონტინენტზე, ჩინეთს ყველაზე მჭიდრო ეკონომიკური თანამშრომლობა უნგრეთთან აქვს. სწორედ ამიტომ გახდა უნგრეთი მოკავშირეების მწვავე კრიტიკის საგანი, რასაც, ვიქტორ ორბანი და მისი მთავრობა დიდ ყურადღებას არ აქცევენ. ჩინელი მინისტრის ვიზიტი საყურადღებო და, რამდენადაც, უცნაური სიახლეა, რადგან ნატოს წევრ არ-

ცერთ ქვეყანას, წინააღმდეგობა არ გაუფორმებია უსაფრთხოების ხელშეკრულება ჩინეთთან.

დოკუმენტის მიზანშეწონილობაზე, მხარეებმა ახსნა-განმარტება გააკეთეს: ევროპაში, ყველაზე დიდი ჩინური დიასპორა უნგრეთშია, რომლის წევრები მსოფლიო დონის ორგანიზებულ დანაშაულებში არიან შემჩნეულნი. ხელშეკრულებით კი, ჩინეთი უნგრეთის მთავრობას პრობლემის მოგვარებაში დაეხმარება. ამერიკა კი, ჩინეთს, ჩინური დიასპორისა და ბიზნესის გამოყენებით, დასავლეთის წინააღმდეგ ჯაშუშობაში სდებს ბრალს. ამიტომ, ტრამპის დროიდან მოყოლებული, შტატები მოკავშირეებს მოუწოდებდნენ, უარი თქვან თავიანთ ინფრასტრუქტურაში ჩინური მაღალი ტექნოლოგიების გამოყენებაზე, მაგალითად, 5G-ის სიჩქარის კავშირგაბმულობის, საინტერნეტო კომუნიკაციაში შუაგვის პროდუქტის გამოყენებაზე, და სხვა. უნგრეთი კი, ასეთ გაფრთხილებებზე თვალს ხუჭავს. ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა პირდაპირ თქვა, რომ ევროპამ რეალობას თვალის დასაწარფო და, თვითიზოლაციის ნაცვლად, თანამშრომლობაზე გადავიდეს. ჩინეთის ეკონომიკამ ევროპისას აშკარად აჯობა და უნგრეთის ეკონომიკის გრძელვადიანი ზრდის გასაღები ჩინურ ინვესტიციებშია. უნგრეთის მთავრობის წევრები მოკავშირეებისგან კრიტიკამ ისე გააღიზიანა, რომ დიპლომატიური დემარშებიც კი მოაწყვეს. უნგრეთში ჩინეთის მინისტრის ვიზიტი, ამერიკის კონგრესის ორპარტიული დელეგაციის ჩასვლას დაემთხვა. უნგრეთის მთავრობის დემარში იმაში გამოიხატა, რომ ამერიკის დელეგაციას უნგრეთის მთავრობის არცერთი წევრი არ შეხვდა. ორბანმა თქვა, ასეთი კომენტარი გააკეთა: ძალიან მინდა, თეთრ სახლში ტრამპი დაზარდეს, რადგან მჯერა, რომ ჩვენს ნაბიჯებს ის კეთილი თვალთ შეხედავს. ჩინეთი, მიღწეული შეთანხმებითაც და მისი მომდევნო რეაქციითაც, კმაყოფილი დარჩა. დასავლურ მას-მედიაში ითქვა და დაიწერა, რომ ჩინეთის ოფიციალური პირები უნგრეთს, როგორც ტროას ცხენს, ისე იყენებენ.

შნგრეთის, ჩინეთის შინაგან საქმეთა მინისტრი, ვან-ქსია-პონგი, ეწვია, რომელსაც უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ-ორბანმა პირადად უმასპინძლა. მხარეებმა უსაფრთხოების, მათ შორის, ტერორიზმთან და ორგანიზებულ დანაშაულებთან ბრძოლის საკითხები განიხილეს. ხელი რამდენიმე ხელშეკრულებას მოეწერა. ვიზიტი, უნგრეთის დასავლელი მოკავშირეებისგან, მწვავე რეაქცია მოჰყვა. ზოგადად, ასეთი შეხვედრები ჩვეულებრივი მოვლენაა საერთაშორისო ურთიერთობებში, მაგრამ, რადგან უნგრეთი ნატოს წევრი ქვეყანაა და ჩინეთი კი, ნატოს ოპონენტი, კოლექტიური ევროპის კითხვები გაუჩნდა, მართლა ხომ არ ხდება უნგრეთი ჩინეთის პარ-

ფრანგი (არაბი) მინისტრი რაშიღა დატი ლიბერალებს უბევს!

საფრანგეთის ლიბერალურმა ნაწილმა კულტურის ახალ მინისტრს ომი გამოუცხადა. შეგახსენებთ, მიმდინარე წლის დასაწყისიდან, საფრანგეთს ახალი პრემიერ-მინისტრი ჰყავს: გამბრინე-ატალი. პარლამენტმა ახალი კაბინეტი, უკვე, დაამტკიცა, რომლის შემადგენლობაში, მეგრის გასაკვირად, კულტურის მინისტრის თანამდებობაზე, ქალბატონი რაშიდა დატი აღმონდა, რომელიც არა მხოლოდ ეროვნული, არამედ, ევროპული მასშტაბის გამოცდილი პოლიტიკოსია. რაშიდა საფრანგეთში გაიზარდა ალჟირელი არაბი ემიგრანტის მრავალშვილიან, დარბი ოჯახში, თერთმეტ დამასთან ერთად.

მედროვე ლიბერალურ-დასავლური ტენდენციის, რომელიც, ვითომ, პოლიტიკორექტულობასა და გენდერულ თანასწორობას იცავს, და რასიზმისა და სექსიზმის წინააღმდეგ ბრძოლას იჩენს. Cancel Culture, გაუქმების კულტურა, პოლიტიკორექტული ცენზურის თანამედროვე იარაღია.

აი, ასეთ უცნაურ და ხელოვნურად შექმნილ სტილსა და განწყობას ემრძვის საფრანგეთის კულტურის ახალი მინისტრი. ამ-



ბოზს, რომ ხელოვნება ყველას კუთვნილებაა, მიუხედავად, პოლიტიკური შეხედულებისა და წარმომავლობისა. ცენზურა კულტურას ანადგურებს. ხელოვნებაში, პოლიტიკორექტული ცენზურის კი არა, ხელოვნების თავისუფლების მტერია. ფრანგებს რომ კულტურაში პოლიტიკორექტულობისთვის ეხადათ ხარკი, ფრანგული ეროვნული კულტურა გადატაცდებოდა და არავითარი შედეგები არ შეიქმნებოდა. ქალბატონმა დატიმ ევროპელი ეკოაქტივისტების მო-

ლოდროინდელი პერფორმანსებზე დაგმო, ხაზი გაუსვა რა, რომ ისინი, პროტესტის ნიშნად, ხელოვნების რძვირფასეს ნიმუშებს აზიანებენ. მაგალითად, ეკოაქტივისტებმა, ლუვრში, მონა-ლიზას გოგონის წვენი შეასხეს, და ჯანსაღი და ორგანული საკვების პოპულარიზაციისკენ მოუწოდეს საზოგადოებას. მონა ლიზა, ისევე, როგორც მთელი ჩვენი ეროვნული მემკვიდრეობა, მომავალ თაობებს ეკუთვნის. ვერაფერი ვერ გაამართლებს ჯოკონდაზე თავდასხმას, განაცხადა მინისტრმა. მან, ასევე, ყურადღება გაამახვილა კულტურის სფეროში, ფემინისტებისა და ლგბტ საზოგადოების ბოლოდროინდელ მოთხოვნებზე, რომელიც ლგბტ და ფემინისტურ თემებზე მეტი წიგნისა და ფილმის გამოქვეყნებას გულისხმობს. მინისტრის აზრით, ხელოვნების შეკვეთითი ნამუშევრები ვერასოდეს ვერ იქნება სიცოცხლისუნარიანი. მთავარია ნიჭი, გაქანება და თავისუფლება. მინისტრმა ასევე დაგმო ძველი საფრანგეთის დიდი ხელოვნების შეურაცხყოფა და მულინიკი. ალექ დელონი-სა და ჟერარ დეპარდიეს მიმართ ფემინისტურ შეტევებზეა საუბარი...

აი, ასეთი ოჯახიდან გამოსულმა ქალბატონმა შეძლო, ცნობილი იურისტი და პოლიტიკოსი გამხდარიყო. სარკოზის პრეზიდენტობის დროს, ქვეყნის იუსტიციის მინისტრი იყო. დღევანდელი გამოკითხვებით, საფრანგეთის ქალ-

პოლიტიკოსთა რეიტინგში, მეოთხე ადგილზეა. ქალბატონმა დატიმ, მინისტრობის ხათრით, კონსერვატიული პარტია დატოვა და მაკრონის პარტიას შეუერთდა. პრესაში ითქვა, რომ დატის გადმობირება და კულტურის მინისტრად დანიშვნა თავად პრემიერდენტმა ითავა. ამ აღმოსავლური ემხით შემკულ, მომხიბვლელ ქალს ხალხი მისი მეომარი და პირდაპირი ხასიათის გამო სცემს პატივს, თუმცა, ფრანგი ლიბერალები და ფემინისტები სწორედ ასეთი ხასიათის გამო ვერ იტანენ. მინისტრად დანიშვნის პირველივე დღიდან, საფრანგეთის ლიბერალური პრესა გაუთავებლად აძაგებს, მაგრამ, ქალბატონი მინისტრი, კრიტიკისა და ბულინგის მიმართ, არც გაჩუმდა და არც დაიშალა. პირიქით, თავად გადავიდა შეტევაზე. მან ფრანგულ მას-მედიაში რამდენიმე ვრცელი ინტერვიუ მისცა, რითაც, ფაქტობრივად, ლიბერალური ელიტა დუელში გამოიწვია.

ჩემი დანიშვნა ყველას გაუკვირდა, მაგრამ, პრემიერდენტმა მინისტრად იმით დაინიშნა, რომ საფრანგეთის დიდი კულტურა გლობალისტურმა ტენდენციებმა ვერ დაზიანდოს, ასე თქვა. რაშიდა დატიმ თანამედროვე სამყაროში გამატონელებელი ლიბერალური ტენდენციები, უოუქიზმი და გაუქმების კულტურა, იგულისხმა. ინგლისური სიტყვა Woke, გამოღვიძებული, თანა-

ლოდროინდელი პერფორმანსებზე დაგმო, ხაზი გაუსვა რა, რომ ისინი, პროტესტის ნიშნად, ხელოვნების რძვირფასეს ნიმუშებს აზიანებენ. მაგალითად, ეკოაქტივისტებმა, ლუვრში, მონა-ლიზას გოგონის წვენი შეასხეს, და ჯანსაღი და ორგანული საკვების პოპულარიზაციისკენ მოუწოდეს საზოგადოებას. მონა ლიზა, ისევე, როგორც მთელი ჩვენი ეროვნული მემკვიდრეობა, მომავალ თაობებს ეკუთვნის. ვერაფერი ვერ გაამართლებს ჯოკონდაზე თავდასხმას, განაცხადა მინისტრმა. მან, ასევე, ყურადღება გაამახვილა კულტურის სფეროში, ფემინისტებისა და ლგბტ საზოგადოების ბოლოდროინდელ მოთხოვნებზე, რომელიც ლგბტ და ფემინისტურ თემებზე მეტი წიგნისა და ფილმის გამოქვეყნებას გულისხმობს. მინისტრის აზრით, ხელოვნების შეკვეთითი ნამუშევრები ვერასოდეს ვერ იქნება სიცოცხლისუნარიანი. მთავარია ნიჭი, გაქანება და თავისუფლება. მინისტრმა ასევე დაგმო ძველი საფრანგეთის დიდი ხელოვნების შეურაცხყოფა და მულინიკი. ალექ დელონი-სა და ჟერარ დეპარდიეს მიმართ ფემინისტურ შეტევებზეა საუბარი...

ნუზარ ბ. რუხაძე
POSTV



მიქტორ მარბანი: ფანჯა არ ნამოვლებოდა მას, მინც ქართულად ვიროსხადა მოიხსენიებდა!

შნგრეთის პარლამენტში გამართულ სხდომაზე, ოპოზიციონერმა დეპუტატმა, მენს თორდაიმ პატივი მიავი ალექსეი ნავალნის სოცნას და დეპუტატებს სთხოვა, წუთიერი დუმილით პატივი მიეცათ ალექსეი ნავალნისთვის.

აღსანიშნავია, რომ უნგრეთის მმართველი კოალიციის წარმომადგენლები ფეხზე არ წამოდგნენ. „შოვინისტები არ იმსახურებენ პატივისცემას. ჩვენ არ წამოვდგებით ფეხზე იმისთვის, რომ პატივი მივაგოთ მას, ვინც ქართველებს ვინთხვებად მოიხსენიებდა საქართველო-რუსეთის ომის დროს“, - აღნიშნა ვიქტორ ორბანმა.

სლოვაკეთიდან არცერთი ჯარისკაცი არ წავა უკრაინაში!

ნატო და ევროკავშირი უკრაინაში ჯარების განთავსებას განიხილავენ, - ამის შესახებ სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრმა, რომბერტ ფიცომ მთავრობისა და უსაფრთხოების საბჭოს სხდომის შემდეგ განაცხადა. სლოვაკეთის მთავრობის ხელმძღვანელის თქმით, მრავალჯერა არასოდეს წარადგენს წინადადებას უკრაინაში სლოვაკი ჯარისკაცების ყოფნის დამტკიცების შესახებ. რომბერტ ფიცოს განცხადებით, ზოგიერთმა წევრმა ქვეყანამ დაუშვა შესაძლებლობა, რომ მათსა და უკრაინას შორის ორმხრივი შეთანხმების შემდეგ ნატო-ს ჯარისკაცები იმოქმედებდნენ უკრაინის ტერიტორიაზე, მაგრამ უცნობია, რა ამოცანებს შეასრულებენ ისინი უკრაინაში, რადგან მასალური გასაღებელი არ არსებობს. „სლოვაკეთიდან არცერთი ჯარისკაცი არ წავა უკრაინაში“, - განაცხადა რომბერტ ფიცომ.



პოლოდიმირ ზალენსკი: ტრამპი არ იცნობს პუტინს, რადგან არასდროს უბრძოლია მასთან

ზალენსკის თქმით, აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ამერიკელების წინააღმდეგეა, თუ ის, უკრაინის ნაცვლად, რუსეთის მხარდაჭერას აირჩევს.

„ვერ ვხვდები, როგორ შეიძლება, დონალდ ტრამპი იყოს რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის მხარეს. ეს დაუჯერებელია. ვფიქრობ, დონალდ ტრამპი არ იცნობს პუტინს. ვიცი, რომ მას არ ესმის, რომ პუტინი არასოდეს გაჩერდება“, - აღნიშნა ზელენსკიმ.

უკრაინის პრეზიდენტის თქმით, აშშ-ის დახმარების გარეშე უკრაინა არა მხოლოდ ვერ იბრძოლებს ახალი მიღწევებისთვის, არამედ გაუჭირდება თავის დაცვა. უკრაინის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ესაუბრა წარმომადგენელთა პალატის რესპუბლიკელ სპიკერს, მაიკ ჯონსონს უკრაინისთვის დახმარების პაკეტზე და ამ საუბრის შემდეგ ოპტიმისტურად არის განწყობილი.



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის განცხადება

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე გამოვლენილი ხარვეზებიდან გამომდინარე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ, შპს „ნაზის“ მიერ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. კვალითის ტერიტორიაზე ცხოველთა სასაკლავოს ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიშზე შეწყდა ადმინისტრაციული წარმოება. შესაბამისად, 2024 წლის 6 მარტს 14:00 საათზე ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. კვალითის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში სკოპინგის ანგარიშის განხილვის მიზნით დაგეგმილი საჯარო განხილვა გაუქმდა.

დეტალური ინფორმაცია იხ. ბმულზე - <https://ei.gov.ge/ka/info/e793220c-2a11-4e6a-ac57-5168db36be4b>

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის განცხადება

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე გამოვლენილი ხარვეზებიდან გამომდინარე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ, შპს „ტერმინალ 1“-ის მიერ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტში 7 000 მ² ტევალობის (130 000 მ³ წლიური ტვირთბრუნვით) ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (წარმადობის გაზრდა და საზღვაო სატვირთო მისადგომის მშენებლობა-ექსპლუატაცია) პროექტის გზა-შის ანგარიშზე შეწყდა ადმინისტრაციული წარმოება. შესაბამისად, 2024 წლის 29 მარტს 11:00 საათზე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მეორის შენობაში გზა-შის ანგარიშის განხილვის მიზნით დაგეგმილი საჯარო განხილვა გაუქმდა.

დეტალური ინფორმაცია იხ. ბმულზე - <https://ei.gov.ge/ka/info/e00071c0-2209-4e86-93b7-026a00a47eb2>

განცხადება საჯარო განხილვის შესახებ

სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა -

სკოპინგის ანგარიშის ეტაპზე შპს „ბლემ სი პეტროლიუმის“ 110 კვ ძაბვის მიწისზედა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანის პროექტი

გადაწყვეტილების მიმდებარე უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: 2024 წლის 15 მარტი, 11:30 საათი, ხობის მუნიციპალიტეტის სოფ. ყუფილის კულტურის სახლის შენობა (მის: იმედის ქ. №180).

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ გაუზიაროთ სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის 19 მარტის ჩათვლით მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი №150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი, საჯარო განხილვის განხორციელების მიზნით). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვისას დაკავშირებით მიმართეთ განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელ-ფოსტა: ph@ei.ec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელაშვილის გამზირი №32გ).

განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 20 თებერვალი. განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 26-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დასაცემს დასცვენას.

განცხადება საჯარო განხილვის შესახებ

ბზშ ანგარიშის საჯარო განხილვა -

შპს „ბანახლეპაი ქემიკალების რეპროდუქციის კომპანის“ მიერ ონის მუნიციპალიტეტში 15,23 მბვტ. სიმძლავრის „სორბიტი 1“ და 15,56 მბვტ. სიმძლავრის „სორბიტი 2“ კვანძის კასკადისა და 110 კვ ძაბვის ძველადგენის მშენებლობა და ექსპლუატაცია

გადაწყვეტილების მიმდებარე უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.

დაგეგმილი საქმიანობის გზა-შის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი:

- 2024 წლის 2 აპრილი, 11:00 საათი, ონის მუნიციპალიტეტის სოფ. პიპილეთის ადმინისტრაციული ერთეულის შენობა
- 2024 წლის 2 აპრილი, 15:00 საათი, ონის მუნიციპალიტეტის სოფ. ირის ადმინისტრაციული ერთეულის შენობა

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ გაუზიაროთ სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის 24 აპრილის ჩათვლით მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი №150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი, საჯარო განხილვის განხორციელების მიზნით). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვისას დაკავშირებით მიმართეთ განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელ-ფოსტა: ph@ei.ec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელაშვილის გამზირი №32გ).

განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 21 თებერვალი. განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 51-ე დღისა და არაუგვიანეს 55-ე დღისა სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დასაცემს დასცვენას.

ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს

განცხადება

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2024 წლის 20 თებერვლის 1-1/78 ბრძანების შესაბამისად

საქართველოს მთავრობის ენერგეტიკული პოლიტიკის ფარგლებში, ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (შემდგომში: „სსე“) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მხარდაჭერით, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) და გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის (KfW) თანადაფინანსებით, გურიის რეგიონში ახორციელებს საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 მარტის №1-1/108 ბრძანებით დამტკიცებულ „საქართველოს გადაამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმით“ გათვალისწინებულ 220/110 კვ „ოზურგეთი-ზოტი ჰესის“ ორჯაჭვიანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობას (შემდგომში: „220/110 კვ ევზ ოზურგეთი-ზოტი ჰესის“ მშენებლობის პროექტი).

პროექტის დანიშნულებაა გურიისა და აჭარის რეგიონებში გადაამცემი ქსელის გაძლიერება, მცირე პირობულ ელექტროსადგურებისა და ქსელის საიმედოობის გაზრდა. ბათუმის მომარაგება მოხდება ევზ ოზურგეთი-ბათუმით და ევზ ხორგა-ბათუმით. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ გაზრდის სიმძლავრის გატანის შესაძლებლობას ოზურგეთის ქ/ს-დან. ოზურგეთის ქ/ს-ს ასევე დაუკავშირდება ახალი 110 კვ ევზ ოზურგეთი-ზოტი, რომელიც უზრუნველყოფს გურიის რეგიონის პერსპექტიული ჰესების მიერ გამოთქმულ ელ. ენერჯის საიმედო გამოტანას ქსელში.

ამრიგად, ახალი 220/110 კვ ევზ ოზურგეთი-ზოტი ჰესის არსებობა მნიშვნელოვნად გაზრდის რეგიონის სტაბილურ ენერგომომარაგებას, ენერგეტიკულ უსაფრთხოებას და აამაღლებს რეგიონის ენერგეტიკული სისტემის მდგრადობას. ამდენად, პროექტს გააჩნია სახელმწიფოებრივი და სოციალური დატვირთვა და მის წარმატებით განხორციელებას მნიშვნელოვანი როლი აქვს საქართველოს ენერგოსისტემის პერსპექტიული განვითარებისა და გაძლიერებისათვის. 220/110 კვ ევზ ოზურგეთი-ზოტი ჰესის მშენებლობის პროექტის ფარგლებში, ევზ-ის ანქების საფრენების განთავსების პოლიგონთან დაკავშირებით, პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას, წარმოიშვა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული, თათია ბებუას (პ/ნ 01005015449) საკუთრებაში არსებული, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, ალაპურ საძოვრებზე (საყორნის მთის ძირის მიმდებარედ) არსებული 800 765 კვ.მ სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდი: ს/კ: 26.33.13.101 ნაწილის, კერძოდ, 468 კვ.მ-ის გამოყენების აუცილებლობა.

აღნიშნული უძრავი ქონების მესაკუთრეს ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა დასახელებული პროექტის განხორციელების ფარგლებში მოქცეული მიწის ნაკვეთის (468 კვ.მ-ის) ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების (საკომპენსაციო თანხის) ანაზღაურების პირობით. ამავე შეტყობინებით მესაკუთრეებს მიეწოდა ინფორმაცია, რომ მათი უარის შემთხვევაში, „სსე“ იმოქმედებს „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და 220/110 კვ ევზ ოზურგეთი-ზოტი ჰესის მშენებლობის პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეულ მათი საკუთრების ნაწილზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით, მიმართავდა კანონმდებლობით დადგენილ დონისძიებებს.

გამომდინარე იქიდან, რომ მოცემულ შემთხვევაში ვერ მოხერხდა შეთანხმების მიღწევა, ქონების აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ჩამორთმევის საკითხი განხილულ იქნა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების მიზნით საკითხის განმხილველი კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 25 მარტის №1-1/159 ბრძანებით შექმნილი ექსპროპრიაციის საკითხების განმხილველი კომისიის მიერ.

2024 წლის 20 თებერვალს გამოცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის №1-1/78 ბრძანება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“, რომლითაც ექსპროპრიაციის უფლების მინიჭებულ სუბიექტად დადგინდა „სსე“ და მას ექსპროპრიაციის უფლება მიენიჭა თათია ბებუას (პ/ნ 01005015449) საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე:

- უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: 26.33.13.101; საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთის 800 765 კვ.მ-ის ნაწილი - 468 კვ.მ.

პროექტისთვის საჭირო მიწის ნაკვეთზე ექსპროპრიაციის უფლების მოსაპოვებლად კანონმდებლობით განსაზღვრული მეორე ეტაპის გავლის უზრუნველყოფის მიზნით, „სსე“ უახლოეს ხანებში დადგენილი წესის შესაბამისად მიმართავს სასამართლოს.

უძრავი ქონების მესაკუთრეებს დამატებით ეცნობება სასამართლოში განცხადების შეტანისა და სასამართლოში საქმის განხილვის თარიღი.



ტრიუმი

მრგობალედ ჩაება უნგრეთის ქალაქ დიერში დაწყებულ ევროპის ჩემპიონატში საქართველოს ტყვის მსროლელთა 12-წევრიანი დელეგაცია, რომლის ლიდერიც ლეგენდარული ნინო სალუქვაძე გახლავთ. ესაა ისტორიული ოქრო!

ქალაქი ერთობაშია!

ნამდვიე კი მისმა ახალგაზრდა პარტნიორებმა თელაველმა მარიამ ფოლიაშვილმა და ქუთაისელმა გიორგი მუშაძემ გვასახელეს, რომლებმაც შერეულ წყვილებში 10 მეტრზე პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში ფინალში გერმანიელებს 17:15 მოუგეს. ვულოცავთ!

ეპროპასკატი

საქლიანი სალაგო

ოცნების პარტირაში ჩატარებული 217(!) მატჩით გამომთხრომა საქართველოს კალათბურთელთა ეროვნულ ნაკრებს ხუთი ევრობასკეტის მონაწილე გიორგი ციციშვილი, რომლის სანეკორდო მიღწევაც, დიდი ალბათობით, კარგახანს მოუხსნელი იქნება არამარტო მის კოლეგათა, არამედ სპორტის სხვა გუნდურ სახეობათა წარმომადგენელ თანამემამულეთათვის.



ორიოდე სიბყვიით

როგორც ჩანს, მათი მონაწილეობით 15-ათასიანი წყვილთა ტურნირი. ადგილი - ალექსანდრე მაკუნი (საქართველო), დავიდ პერესი (ესპანეთი). მათ ჩინურ, ფრანგულ, ბრიტანულ დეუტებს სეტის წაუგებლად სძლიეს, ფინალში კი სამ პარტიამ დაამარცხეს მესამე ნომრად განთავსებული მეტოქეთა ასევე ინტერნაციონალური ტანდემი ფილიპ შენინგისა (სამხეთ აფრიკა) და ბენ ჯონსის (დიდი ბრიტანეთი) შემადგენლობით - 4:6, 6:2, 10:4.

ამ მორჯალალოსანთა კვართი 33 შეხვედრაში მოიწვო და 5 ლელო გაიტანა, საკლებო კარიერა კი კლერმონში, პერპინიანსა (საფრანგეთი) და ედინბურგში (შოტლანდია) გაატარა. საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი მესამეხაზელი უკვე რამდენიმე წელიწადია კიევში ცხოვრობს და ამ დღეებში უკრაინის მთავარი გუნდის თავკაცის ვალერი კოჩანოვის ასისტენტად დაინიშნა, რომელიც იქაურ პოლიტექნიკსა და სსრკ ნაკრებში თამაშობდა.

ფარქაობა ნაპოლი (იტალია). კადეტთა და იუნიორთა ევროპის ჩემპიონატი. 50 ქვეყნის 1000-მდე მონაწილე, მათ შორის - საქართველოს 22-წევრიანი დელეგაცია. მრინჯაო - 16 წლის ალექსანდრა კუვაევა (თბილისი, ხმალი). შეგახსენებთ, რომ მან წლევეანდელ სემონში უკვე მოასწრო ჯერ ევროპის (მუქარესტში, ხოლო შემდეგ მსოფლიოს (თბილისი) თავის დაუფლება, სადაც 9 მეტოქეს სძლია. დავეძნო, რომ ფორუმზე ქართველი მსაჯი თათია აფციაურიც გახლავთ მიწვეული.

კიულო გამომწვევდა საქართველოს ეროვნული ნაკრების შემადგენლობა უახლოესი პრესტიჟული საერთაშორისო ტურნირებისათვის. ტაშკენტის გრან პრი. 1-3 მარტი. 450-მდე მონაწილე 50 ქვეყნიდან, მათ შორის 6 ჯვაროსანი: ჩხვიმიანი, სარდალაშვილი (60), ნადირაძე (66), ნინიაშვილი (73), ლიპარტელიანი, გოგოლაძე (100). შარშან ჩვენმა გუნდმა უზმევერ ტაშკენტში 3 მედალი მოიპოვა (თითო ოქრო, ვერცხლი და მრინჯაო). ლინის (ავსტრია) გრან პრი. 8-10 მარტი. ჩვენი შესანიშნავი შვიდეული ასეთი გახლავთ. კუპატაძე (60), ზირაქაშვილი (66), ჯაშინაშვილი (90), ებილაშვილი, ჯაფარიძე (100), თუშიშვილი, ტაბატაძე (+100). შარშან იქიდან 2 მრინჯაოთი დაგზრუნდით.

პატივი

აზიურ ნოტაზა

ქართული მრთი - ასე იცნობს გულშემატკივარი შმტარ სპორტის, გულა შყილაძისა და თამაზ გოკარძის მწვრთნელთა სამეულს, რომელიც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სათავეში უმცროსი ნოდარ ახალკაცის, ხოლო ეროვნულ ნაკრებში კლაუს ტომპიოლერის მოღვაწეობის პერიოდში ჩამოყალიბდა.



ყოფილ იუგოსლავიაში დაბადებული და გერმანიაში პრაქტიკულად გაწვდილი პირველი მათგანი თანამემამულეს ასისტენტობას უწევდა, ჩვენი ქვეყნის ასაკობრივ გუნდებს ავარჯიშებდა და რამდენჯერმე მთავარი კრებულის მოამზადა მატჩებისათვის. მათთვის დინამოში დაიწყო კარიერა ჯვაროსანთა მცველმა (22 შეხვედრა), ხოლო შემდეგ არაერთ უცხოურ კლუბში ითამაშა, როგორც ლეგიონერმა, მათ შორის მელგიურ ლიგისში.

რაც შეეხება მესამე ხმა, იგი ჩვენი კოლეგა გახლავთ და ტელეკომუნიკაციების სფეროში არაერთ უცხოურ მიწაში მუშაობდა და სპორტის საყვარელ სახეობას ჯერ მენეჯერის, ხოლო მოგვიანებით მთავარი მწვრთნელის თანამშრომლის სტატუსით ერთგულობს. როგორც გვრამა, საკუთარ შესაძლებლობათა უკეთ წარმოსაჩენად უკვე ერთ მთლიან ორგანიზმად შერწყმულმა თანამაზრეთა აღნიშნულმა მიკროანსამბლმა საერთაშორისო ასპარეზს, კერძოდ ალმოსავლურ სამყაროს მიაშურა და ინდოეთში, ტაილანდსა და ავღანეთში გამოიბრძმედა, მისი ტალანტი კი საბოლოოდ ტაჯიკეთში გაიფურჩქნა, რომლის ნაკრებშიც ერთი თვის წინათ აზიის თასის გათამაშების მეოთხედფინალში გაიყვანა, სადაც კონტინენტური ფორუმის აღმორჩინასთან და მომავალ ფინალისთან იონდანიასთან დამარცხდა. ...და აი, ციცხალი ინფორმაცია: იქაური ფეხბურთისთვის ტრიუმფალური ტურნირის შემდეგ პეტარ სეგრატმა გუნდი დატოვა და მის თავკაცად გულა შყილაძე დაინიშნა, რაც უდიდესი ნდობაა, თამაზ გოკარძისა და ფილიპინების ნაკრებებს გაუჯიშებდა!

უკვლო მნა

მერაბ დვალიშვილი: მივრცულავენ ახსურდულ ბრალდებას

ქართულმა მმრძოლმა მერაბ დვალიშვილმა სოციალურ ქსელში წერილი გამოაქვეყნა, რომლითაც უარყო ის ინფორმაციები, რომელიც მის შესახებ გოლო დვალიშვილი სოციალურ ქსელში ვრცელდებოდა. «ყველას მოგესალმებით. როგორც იცით, ჩემს მიმართ ბოროტი ადამიანებისგან წამოვიდა ცილისწამება და ამსურდული ბრალდებები ჩემი სახელისა და რეპუტაციის შელახვის მიზნით, რამაც ძალიან იმოქმედა ჩემს ოჯახზე, ნათესავებსა და გულშემატკივრებზე. ჩემს მშობლებს ნერვიულობის ნიშნად ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები დაეწყო. აქამდე ვიკავებდი თავს და არ მინდოდა ამ პროვოკაციებზე პასუხის გაცემა. ახლა კი იძულებული ვარ, მოგმართოთ და დაგამშვიდოთ. ვინც მიცნობს ემიგრაციასა და საქართველოში, ყველამ კარგად იცის, რომ არასდროს არ ჩამიდენია ისეთი საქციელი, რაც შეარცხვენდა ჩემს გვარს, ჩემს ოჯახს და ჩემს სამშობლოს. არასდროს, ჩემს სიცოცხლეში არცერთი ბრალდებულის საქ-

მეზე არ დავუკითხივარ პოლიციას, არ მიმცია ჩვენმა არავის წინააღმდეგ და არასდროს ვყოფილვარ მოწმე სასამართლოში. ყოველთვის, რითაც შემძლო, გვერდში ვდექი გაჭირვებულ ადამიანს, როგორც ძმა და როგორც მეგობარი. ყველაფერი, რაც ჩემზე ითქვა, არის სამინელი ცილისწამება. არ ვაპირებ დეტალებზე საუბარს და ვფიქრობ, რომ სოციალური ქსელში არ არის ის ადგილი, სადაც შეიძლება პასუხი გაცემა ამ მინძურ გამზანის. გთხოვთ ყველას, შეინარჩუნოთ სიმშვიდე და არ აწყვეთ პროვოკაციებს. მართალი ვარ ჩემი ოჯახის, ჩემი კაცობის, სამშობლოსა და ღმერთის წინაშე!», - დაწერა დვალიშვილმა.



ლალი რიკვაიძე



ვალერი ასათიანი, ბალთერ არაბული, ივანე ამირხანაშვილი, ანდრია ბედუკაძე, ზაალ ბოტკოვილი, მამუკა ვაშაძიძე, გიორგი გოგოლაშვილი, სპარტაკ ძოგუღია, უჩა შერაზადაშვილი, ვახტანგ

რეზინიანი, პაატა ჩხეიძე, როსტომ ჩხეიძე მწუხარებით იუნყებინ, რომ გარდაიცვალა სიკეთით, სისადავით და უბრალოებით გამორჩეული ლიტერატორი, ენათმეცნიერი, მწიგნობარი

ლალი (ნადიკო) რიკვაიძე

და თანაუგრძობენ განსვენებულის მეუღლეს, ჩვენს უახლოეს მეგობარს, ცნობილ მწერალს, პუბლიცისტსა და საზოგადო მოღვაწეს თამაზ ხმალაძეს ამ მძიმე მწუხარებაში.

პანაშვიდი 28 თებერვალს, 16 სთ. დაკრძალვა 29 თებერვალს, 14 სთ.

მისამართი: ვაჟა-ფშაველას 77. III კვარტალი, მე-15 კორპ., I სადარბაზო, V სართული.

ეთერ ქემერტელიძე დიდი გულსტკივილით იუნყება თვალსაჩინო სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, ერთგული მეგობრის, დიდებული ქალბატონის

ვიქტორია სირაძის

გარდაცვალებას და თანაუგრძობს განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

ქ. თბილისში მცხოვრები ფოთლების საზოგადოების გამგეობა, სკოლის და ახალგაზრდობის წლებიდან ახლო მეგობრები იუნყებინ, რომ გარდაიცვალა დამსახურებული მოქალაქე, დიდი პროფესიონალი, საზოგადო მოღვაწე

ჯემალ კახიანი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ფოთლების საზოგადოების სახელით:

სპარტაკ გოგინავა, ჯიმი ძვარცხავა, მირაბ ზამბახიძე, ბაპურ გულუა, იგორ მამალაძე, პეტრე ბარია, გივი აბდუშელიშვილი, ვახტანგ გვარამია, გულთაზ ლაბარტყავა, ლიანა და რუსუდან წურჭუბია, თანგიზ უჩანიშვილი, იური ალანია, ბესლან ძორძია, გიკა სვანიძე, ვახტანგ ჩიქოვანი.

ყალბი ფულის ბაზაზღვრები გამომიჭირეს

ფინანსთა სამინისტროს საგამომიჭირო სამსახურის ცნობით, ყალბი ფულის გასაღების ორი ფაქტი გამოავლინეს – ერთი ბათუმში, ერთი თბილისში. დაკავებული სამი ადამიანი.

„გამომიჭირო დადგინდა, რომ ერთ შემთხვევაში მრალდებულ ფულს მიერ, უკანონო მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, ქ. თბილისში გასაღებულ იქნა 19 900 აშშ დოლარის ოდენობის ყალბი 100-დოლარიანი კუპონა, ხოლო მეორე შემთხვევაში ქ. ბათუმში, სხვადასხვა ობიექტზე, მრალდებულმა გაასაღა 4 ცალი 100-ლარიანი და 1 ცალი 50-ლარიანი ყალბი კუპონა“, – წერია განცხადებაში.

უწყება ამბობს, რომ გამომიჭირო პროცესში, აღნიშნული ყალბი კუპონები სრულად იქნა ამოღებული. ფაქტზე გამოძიება გრძელდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 212-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 7-დან 10 წლამდე ვადით.

ნაღვანის მმართველი მერიის თანამშრომლები დააკავეს!

ნაღვანის მერიის თანამშრომლები 20 000-ლარიანი ქრთამის აღების ბაზა დააკავეს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული-სამძებრო და საგამომიჭირო მოქმედებების შედეგად, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე წაღწევის მიზნით მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლები თ. მ. და მ. დ. დააკავეს.

გამომიჭირო დადგინდა, რომ წაღწევის მუნიციპალიტეტის დაბა ჯვარში მდებარე 1550 კვ/მ მიწის ნაკვეთის აუქციონზე გამომიჭიროს სანაცვლოდ, მათ მოქალაქეს ქრთამის სახით მოსთხოვეს და გამოართვეს 20 000 ლარი. გამომიჭიროს აწარმოებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით 7-დან 11 წლამდე, – წერს სუსი.

...გაბუღეს, შედეგ კი მოკლული ჭაში დაბრუნეს!

მუშაუნის რაიონის სოფელ ველისციხეში, დამამიჭიროებელ გარემოებაში ჯგუფურად ჩადენილ განზრახ მკვლელობის ფაქტზე მრალდებული, თელავის რაიონულმა სასამართლომ დამამიჭიროებელ ცნო და 17 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა პროკურატურის ინფორმაციით, სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2023 წლის 18 იანვარს, გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხეში, მრალდებულის საცხოვრებელ სახლში, ორმა პირმა, წარსულში არსებული კონფლიქტის ნიადაგზე, შურისძიების მოტივით, დაზარალებულს ჯგუფურად, მოკვლის განზრახვით, მლაგვი საგნების გამოყენებით სხეულის დაზიანებები მიაციენეს, შემდეგ კი გაგუდეს. მიღებული დაზიანებებით ის ადგილზე გარდაიცვალა. აღნიშნულის შემდგომ, დანაშაულის ჩამდენმა პირებმა მოკლული ველისციხეში სარწყავი არხის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე ჭაში დაბრუნეს. ასევე, დანაშაულის ჩამდენი პირები მოკლულის კუთვნილ მობილურ ტელეფონს დაეუფლნენ.

საქმეზე ჩატარებული საგამომიჭირო მოქმედებების შედეგად, ცხედარი ჭაში 2023 წლის 25 მაისს იქნა ნაპოვნი. დანაშაულის ჩამდენ ერთ პირს მრალდებულ დამამიჭიროებელ გარემოებაში ჯგუფურად ჩადენილი განზრახ მკვლელობის და ქურდობის ფაქტებზე წარედგინა.

რაც შეეხება მეორე მრალდებულს, მას მრალდებულ ასევე წარედგინა აქვს დამამიჭიროებელ გარემოებაში ჯგუფურად ჩადენილი განზრახ მკვლელობის და ქურდობის ფაქტებზე. მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვა თელავის რაიონულ სასამართლოში მიმდინარეობს, – წერია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

პოლონეთში, ნაპოვნი ნაპოვნი, ნაპოვნი ახალგაზრდა, სპარტაკოვ, ქართველი მოკლა

პოლონეთის ქალაქ სლუჰსკში, ერთ-ერთ წვეულებაზე ნაპოვნი ახალგაზრდა, 28 წლის მიჩი დაჭრეს. ადგილობრივი მედია წერს, რომ მას კისრის არეში სასიკვდილო ჭრილობა, სავარაუდოდ, 35 წლის საქართველოს მოქალაქემ მიაციენა.

წვეულება იმ ჰოსტელში იმართებოდა, სადაც სხვადასხვა ქვეყნიდან პოლონეთში სამუშაოდ ჩამოსული პირები ცხოვრობენ. მედია წერს, რომ მრალდებული პოლიციამ დააკავა და ის შემთხვევის დროს ალკოჰოლური თრობის ქვეშ იყო. მის გარდა დაკავებული კიდევ ორი ქალი, რომლებსაც დანაშაულის კვალის დაფარვას, მათ შორის დანაშაულის ჩადენის იარაღის – დანის გადამაღვას ედავებიან.

ღამის კლუბში დაწყებული დაპირისპირება 25 წლის ახალგაზრდის კიკლელოებით დასრულდა!


თბილისში, მთაწმინდა, 18 თებერვალი, შუაღამე – ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩაზე, 25 წლის მამუკა ლომიძე მეგობარმა 7 გასროლით მოკლა.

ისტორია შემზარავი დასასრულით აქედან იწყება – კაფე „გალერის“ სათვალთვალო კამერების ჩანაწერების მიხედვით, დაახლოებით ღამის პირველ საათზე, მამუკა ლომიძე მეგობრებთან ერთად კლუბში შედის. „გალერიაში“ მიდის მისი მეგობარი ბაჩო სინაძე, სხვა ახალგაზრდების თანხლებით. სვამენ ალკოჰოლს და ცეკვავენ. დაახლოებით 40 წუთში ვითარება იძაბება – კადრების მიხედვით, დაპირისპირებულის გაშველვას ცდილობენ და კლუბის გარე პერიმეტრზე ინაცვლებენ.

გორში მამაკაცი მატარებელი დაეჯახა. მატარებელი მამაკაცს ხიდისთავთან დაეჯახა. გარდაცვლილი 34 წლისაა.

მომხდარზე შსს-მ გამომიჭირო 275-ე მუხლის მეოთხე ნაწილით დაიწყო, რაც სარკინიგზო ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

ვერსიონობით ნოდარ გურაბანიძეს...



93 წლის ასაკში ცნობილი ქართველი თეატრმცოდნე და საზოგადო მოღვაწე ნოდარ გურაბანიძე გარდაიცვალა.

ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი ავრცელებს და მწუხარებას გამოთქვამს ნოდარ გურაბანიძის გარდაცვალების გამო.

„ნოდარ გურაბანიძე, საქართველოს სათეატრო ხელოვნებისა და სათეატრო კრიტიკის პატრიარქი იყო. ის იყო ადამიანობისა და პროფესიონალიზმის საუკეთესო, მისაბაძი მაგალითი. 90 წელს გადაცილებულიც ბევრ ახალგაზრდაზე უკეთ აზროვნებდა და წერდა. ბატონი ნოდარი იყო გამორჩეული პიროვნული თვისებებით დაჯილდოებული ადამიანი. არასდროს გულში ბოროტი არ გაუვლია, არავისთვის განზრახ ცუდი არ გაუკეთებია. პირიქით, ყოველთვის ცდილობდა ყველას დახმარებოდა, გვერდში ამოსდგომოდა. ყველაზე მეტად დასაფასებელი კი ისაა, რომ ბატონ ნოდარს ახალგაზრდობა, მომავალი თაობა უყვარდა, აფასებდა, უხაროდა მათი პროფესიული წარმატებები.“

არაერთი წიგნის, მონოგრაფიის, კვლევისა თუ რეცენზიის ავტორი ბატონი ნოდარი გახლდათ რუსთაველის პრემიის ლაურეატი (ტრილოგია „რეჟისორი რობერტ სტურუა“, „მინილი თუმანიშვილის თეატრი“, „ფანტასტიკური რამაზ ჩიქვაძე“), სახელმწიფო პრემიის ლაურეატი („სამყარო თეატრის თეალით“, 1998), ნომინაცია წლის საუკეთესო თეორიული ნაშრომის – ორგანის გამარჯვებული („ვეროპული დრამატურგია რუსთაველის თეატრის სცენაზე“, „რეჟისორი გივი ჟორდანი“).

სხვადასხვა დროს იყო გამომცემლობა „ხელოვნების“ დირექტორი, საქართველოს კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე, ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“, შემდეგ „ხელოვნება“ მთავარი რედაქტორი. წლების განმავლობაში თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის პროფესორი გახლდათ და უზარმაზარი წვლილი მიუძღვის თეატრმცოდნეთა არაერთი თაობის აღზრდაში. ნოდარ გურაბანიძის ბოლო ნამუშევარი, ბრწყინვალე სამტომეული „სამყარო თეატრალის თეალით“ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტმა 2017-2019 წლებში გამოსცა.

უნივერსიტეტის სახელით, უდიდესი გულსტკივილით ვუსამძიმრებთ მის ოჯახს, კოლეგებს, სტუდენტებს და ქართულ თეატრალურ საზოგადოებას, – აღნიშნულია შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ფეისბუქგვერდზე.



ეთერ სამხარაძე-ჯღამაძის სახელობის

კონკურსი

საქართველოს მწერალთა, ხელოვანთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „გულანი“ თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მხარდაჭერით აცხადებს კონკურსს მშვიდობისა და პატრიოტიზმის თემაზე შექმნილ ნაწარმოებებზე

ეთერ სამხარაძე-ჯღამაძის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად

პრემიის (არაუმეტეს 10 ლექსისა), პროზის (არაუმეტეს 36 გვერდისა) და მხატვრობის დარგში (არაუმეტეს 5 ნახატი).

თითოეული პრემიის ოდენობა 500 (ხუთასი) ლარი. კონკურსში მონაწილეობა შეეძლება მხოლოდ ქალბატონებს!

საკონკურსო მასალები, მცირე ბიოგრაფია და საკონტაქტო ნომერი გამოაგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე: maiakvantaliani@mail.ru.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით კონკურსის ორგანიზატორებს:

ნაირა მარშანია 568-890-108; მანია კვანტალიანი 555 564 454

მასალები მიიღება 2024 წლის 23 თებერვალიდან – 3 მარტის 18 საათამდე.

დაჯილდოება გაიმართება 7 მარტს, 16 საათზე, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში. (გუდიაშვილის ქ. №7).

ქართული მარნის ღვინოები – პორტუგალიის პორტში

„საქართველო ღვინოს საშობლო“ – ამ გზავნილით პორტუგალიაში გამოფენა Simplemente Vinho ოთხი დღის განმავლობაში მასპინძლობდა სტუმრებს.

ღვინის ეროვნული სააგენტოს ინიციატივით და ფინანსური მხარდაჭერით, პორტუგალიის ქალაქ პორტოში გაერთულ გამოფენაში Simplemente Vinho ქვევრის ღვინოს მწარმოებელი 11 მარანი იყო წარმოდგენილი.




გამოფენის ფარგლებში, ღვინის პროფესიონალებისა და სავაჭრო სფეროს წარმომადგენლებისთვის ქართული ღვინოს დეგუსტაციები და გალა-ვახში გაიმართა; ჩატარდა კონფერენცია Qvevri, Dolia E Talha, რომელიც ქვევრში ღვინის დაყენების ტექნოლოგიას მიეძღვნა.

კონფერენციაზე საუბარი შეეხო პორტუგალიის ზოგიერთ რეგიონსაც, სადაც ღვინოს თიხის ჭურჭელში აყენებენ. მონაწილეებს ქვევრის ღვინო ქართველმა მეღვინე ზურაბ თოფურაძემ წარუდგინა. კონფერენციის დასრულების შემდეგ მოეწყო სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის „ჩვენს ძარღვებში ღვინო სჩქვებს“ ჩვენება, რომელიც ამერიკელმა კინორეჟისორმა ემილი რელსბერგმა 2017 წელს გადაიღო და მისი პრემიერა ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე შედგა.

ჯაბა სამუშიას ვიზიტი აკიბადემის უნივერსიტეტში

თურქეთში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, თსუ რექტორი, აკადემიკოსი ჯაბა სამუშია სამედიცინო პროფილის მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან, აკიბადემის (ACIBADEM) უნივერსიტეტს ეწვია. ვიზიტის ფარგლებში ჯაბა სამუშია, სტამბოლში საქართველოს გენერალურ კონსულთან ალექსანდრე ჯიშკარიანთან ერთად, აკიბადემის უნივერსიტეტის პრეზიდენტს, პროფესორ აჰმეთ შაჰინსა და აკადემიური სფეროს სხვა წარმომადგენლებს შეხვდა.



შეხვედრებზე თსუ-სა და აკიბადემის უნივერსიტეტს შორის მომავალი თანამშრომლობის შესაძლებლობები განიხილეს, კერძოდ, ისაუბრეს მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების სხვადასხვა ხანგრძლივობით სტაჟირების ორგანიზების საკითხზე. აღნიშნულთან დაკავშირებით თანამშრომლობის შემორანდუმი ახლო მომავალში გაფორმდება. შეხვედრებზე ასევე ისაუბრეს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების თურქულ საუნივერსიტეტო კლინიკებში სტაჟირების შესაძლებლობებზე. გამოცდილების გაზიარების მიზნით, ასევე დაიგეგმა თსუ მედიცინის ფაკულტეტის წარმომადგენლების თურქულ უნივერსიტეტში ვიზიტი. აკიბადემის უნივერსიტეტი, რომელიც მაღალტექნოლოგიური სასწავლო და კვლევითი ინფრასტრუქტურით გამოირჩევა 2007 წელს დაარსდა და დღემდე, დინამიური და თანამედროვე საგანმანათლებლო პროგრამების გამოყენებით, პროფესორ-მასწავლებელთა მაღალკვალიფიციურ გუნდთან ერთად, ამზადებს ჯანდაცვის მომავალ სპეციალისტებს.

გზა პეროვისკენ

ეს კონცერტი იქნება საქართველოსა და გერმანიას შორის მძიმე ურთიერთობის ერთგვარი სიმბოლო, – ამის შესახებ საქართველოში გერმანიის ელჩმა პეტერ ფიშერმა „ევროპაკონცერტზე“ საუბრისას განაცხადა.




„საქართველო გახდა კანდიდატი ქვეყანა, ის განუვრდინდება ევროკავშირში, ახლა სწორედ ამ გზას ვადასტურებ. ეს უმაღლესი დონის კულტურული მოვლენაა, რომელსაც მთელი მსოფლიო ნახავს, აღნიშნავს საქართველოს გზას ევროპისკენ. ეს კონცერტი იქნება საქართველოსა და გერმანიას შორის მჭიდრო ურთიერთობის ერთგვარი სიმბოლო“, – აღნიშნა ელჩმა. საქართველო მსოფლიო მნიშვნელობის კულტურული მოვლენის მასპინძლობისთვის ემზადება. პირველ მაისს წინანდლის მამულის ამფითეატრში, ხოლო ორ მაისს თბილისის ოპერის თეატრში, ბერლინის ფილარმონიული ორკესტრის 33-წლიანი ტრადიციის მქონე ყოველწლიური ღონისძიება „ევროპაკონცერტი“ გაიმართება, რომელიც 144 ქვეყანაში პირდაპირი ეთერით გადაიცემა.

ხის კოსმოსური თანამგზავრი

იპროექტდება მეცნიერებმა მსოფლიოში პირველი ხის კოსმოსური თანამგზავრი, LignoSat-ი შექმნეს. იგი მავნების ხისგან არის დამზადებული, რომელმაც საერთაშორისო კოსმოსური სადგურის მონტაჟზე ჩატარებული ერთწლიანი ტესტირების დროს მზარებისადმი სტაბილურობისა და გამძლეობის საუკეთესო შედეგები აჩვენა.

კოსმოსური უნივერსიტეტის მეცნიერების თქმით, ხის კოსმოსური თანამგზავრით რესურსები დაიზოგება და გარემოზე ზემოქმედება შემცირდება.



იაპონელი ასტრონავტები LignoSat-ს ორბიტაზე წლევანდელ გაზაფხულს გაუშვებენ. მას ორბიტაზე საერთაშორისო კოსმოსური სადგურის მომარაგების ხომალდი, Orbital Sciences Cygnus ან რაკეტა, SpaceX Dragon გაიყვანს. მეცნიერები იმედოვნებენ, რომ ხის თანამგზავრი დედამიწის მახლობელ სფეროებში, მინიმუმ, ექვს თვეს გაატარებს.

საქართველოს რესპუბლიკა

SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა.ნაირაძის №116 (დივანა პლას)

მთავარი რედაქტორი სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე მამუკა მამუკაძე 597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი კახა ძორიძე

შემომცემლობითი ჯგუფი:

ალექს ალანიშვილი ბია ალანიშვილი ოთარ ტურაბაიძე

სტილისტ-კორექტორები:

ნაირა კაკალია, მანია იორამაშვილი, ოპარატორი შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი: 577-77-27-17

rkobulia29@gmail.com ანგარიშის ნომერი GE90BG000000538329790

გამომცემელი:

შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ 599 36-00-35

იკავშირება სტამბა „კოლორი“ ე. პაღდავაძის №3

კოდორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22) ს-323



ავტორთა საყურადღებოდ! რედაქციის მიერ შეუძვეთავი მასალები დანიშნავდება ავტორთა ხარჯით.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 1 მარტს

Table with subscription rates for different regions: Tbilisi, Samegrelo, Guria, Abkhazeti, Imereti, Samegrelo-Zabkhalanti, Guria, Abkhazeti, Imereti.

Table with advertising rates for different positions: Top, Middle, Bottom, etc.

დაგვიკავშირეთ, მოგზაურად: ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17 ელ. ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ვებ-გვერდი: www.sakresp.ge